ოქმი N 1

ცაგერის მუნიციპალიტეტის ღვირის თემის სოფელ სანორჩის მოსახლეობის კრების.

18.01.2023 წელი

კრებას ესწრებოდნენ სოფელ სანორჩის მოსახლეობა 25 მონაწილის შემადგენლიობით. კრებას ასევე ესწრებოდნენ: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის უფროსი გ.ხმელიძე და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტები ბ. კოპალიანი და თ. საღინაძე.

კრების თავჯდომარე: გ.ხმელიძე

მდივანი: კ. ხეცურიანი

კრების დღის წესრიგი:

ღვირიშის თემის სოფელ სანორჩის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 20891.00 კვ.მ (ს/კ 89.08.21.159) და 5776.00 კვ.მ (ს/კ 89.08.21.162) ელ.აუქციონის ფორმით გასხვისების თაობაზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის უფროსი გ.ხმელიძე

მომხსენებელმა კრების მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გეგმავს სოფელ სანორჩის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის 2 ნაკვეთის პრივატიზებას რისთვისაც საჭიროა სოფლის მოსახლეობის თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: კ.ხეცურიანმა, გ.ძნელაძემ, ზ. ფუტკარაძემ. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მოსახლეობას გააჩნია მიწის საკუთრების საბუთი ე.წ ,,შევარდნაძის მოწმობა'' და ელოდებიან 2023 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მიწის სისტემურ რეგისტრაციას მიწის ნაკვეთების უფასო დასარეგისტრირებლად, მიწა განაწილებულია მოსახლეობაზე ჰყავს კანონიერი მესაკუთრე და მეპატრონეებს ესაჭიროებათ ეს მიწის ნაკვეთები. აქედან გამომდინარე მოსახლეობა ვერ დაეთანხმება ქონების ეროვნულ სააგენტოს მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთების გაყიდვაზე.

დაადგინეს: უარი ეთქვას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოახდინოს სოფელ სანორჩის მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვაზე.

კრების მინაწილეთა ხელმოწერები უარის თქმაზე

ოქმს თან ერთვის.

კრების თავჯდომარე: გ.ხმელიძე

მდივანი: კ. ხეცურიანი